# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
# ქ. თბილისი

MES 5 21 0000632907

25/06/2021

## სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასალათმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის $3^1$ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3.„აკრედიტაციის დებულების“ $27^5$-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში,საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 აკრედიტაციის დებულების $27^5$ მე-$7^1$ პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. 2020 წლის 28 და 31 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის №1239603 და №1244262 სააკრედიტაციო განაცხადი "მასალათმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 8 თებერვლის №75693 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 15აპრილის № 361223 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 28-29 აპრილს განახორციელა საკრედიტაციო ვიზიტი სსიპ- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2021 წლის 25 მაისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არისშესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

2.3 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 11 ივნისს საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება და 2.6, 4.4, და 5.1 კომპონენეტი ნაცვლად ,,შესაბამისობაშა მოთხოვნებთან'' განისაზღვრა როგორც ,,მეტწილად

შესაბამისი მოთხოვნებთან'', ხოლო 3.1 კომპონენტი ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან'' განისაზღვრა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან''

**3. სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ

**გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მასალთმცოდნეობის“ შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 25 ივნისის №631309 სხდომის ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები ნაწილობრივ გაიზიარადა განსაზღვრა შემდეგნაირად:

**რეკომენდაციები:**

4.1 რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

4.2 რეკომენდირებულია მასალათა გამძლეობის თემები თავმოყრილ იქნას ერთ რომელიმე სასწავლო კურსში.

4.3 რეკომენდირებულია სასწავლო გეგმაში სასწავლო პრაქტიკა შეიცვალოს საწარმოო პრაქტიკით, შესაბამისად შემუშავდეს საწარმოო პრაქტიკის რელევანტური სასწავლო კურსი, სწავლის შედეგების გაწერით და საკონტაქტო საათების გაზრდით.

4.4 .მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების პირობაში გათვალისწინებული იქნას სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება

4.5 რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

4.6 რეკომენდირებულია შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედება სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

**რჩევები:**

1.სასურველია მკაფიოდ გაიწეროს შეფასების სისტემა გადაწყვეტილების მიღებისათვის უცხო ენაში გასაუბრებისას.

2. რეკომენდირებულია სავალდებულო კურსებში გათვალისწინებული იქნას კომპოზიციური მასალების შემსწავლელი კურსი.

3. სასურველია გაფართოვდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი.

4. სასურველია სასწავლო კურსის “დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული). სილაბუსებში პრაქტიკულ მეცადინეობებზე მეტი ყურადღება დაეთმოს დარგთან დაკავშირებული კონკრეტული თემების განხილვას
5. ზოგიერთი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვადაგასულია და საჭიროებს ვადის გაგრძელებას.

5. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე, 2021 წლის 13 დეკემბერი
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 11 ივნისს
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ